ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომის
ოქმი N11

ქ.ზუგდიდი **19 ივნისი 2023 წელი**
15:00 სთ

2023 წლის 19 ივნისს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრები: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, დარეჯან გაბედავა, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრები: თაზო ფაცაცია(შვებულება), ჯონი ჯიქია, დავით ვეკუა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია.

სხდომას ესწრებოდნენ საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის წევრები: ბესიკ გაბუნია, მალხაზ თორია, ირაკლი გოგოხია, ედიტა კოდუა, ბეჟან შანავა, ოთარ ქადარია, ბესიკი ჭეჟია, დავით ფიფია.

სხდომას არ ესწრებოდნენ საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის წევრები: თაზო ფაცაცია, ჯონი ჯიქია, მანუჩარ ფიფია, პაატა ადამია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

კონსტანტინე კაკავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

ეკატერინე კიფაია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფარქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ირაკლი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;

მარიამ ახალაია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ხათუნა შამუგია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტს საკრებულოს წევრი;

ირუზა კაკავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ნატალია შეროზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

.....-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი;

დავით შელია-შპს “ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ის დირექტორი;

.....-შპს “ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ის დირექტორის მოადგილე;

.....-შპს “ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ის ადრმინისტრაციულ საკითხთა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე;

.....-შპს “ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ის ბუღალტერი;

.....-შპს “ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ის შესყიდვების სამსახურის წარმომადგენელი;

.....-ლელოს წარმომადგენელი;

.....-ლელოს წარმომადგენელი.

.....-მოქალაქე.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....
სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 11 წევრი.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს "ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"-ის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: დავით შელია- შპს "ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"-ის დირექტორი

2. სხვადასხვა საკითხები.

ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით და კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად, ასევე ცალკე ეყარა კენჭი საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის სხდომის დღის წესრიგს, რასაც მხარი ერთხმად დაუჭირეს შესაბამისი კომისიის წევრებმა.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის თავმჯდომარის დავით ფიფიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 16 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ანაკლია-განმუხური რესორტი"-ს N11 განცხადება (რეგისტრაციის N10/252304713-25 16.02.2023), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს "ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"-ის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა შპს "ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"-ის დირექტორს დავით შელიას კომისიის წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია შპს-ს საქმიანობის შესახებ.
აზრი გამოთქვეს: ბესიკ გაბუნიამ განმარტა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისია შეხება შპს "ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"-ის მხოლოდ ფინანსურ ნაწილს და გააკეთებს მის შეფასებას.
აზრი გამოთქვა: დავით შელიამ აღნიშნა: „მოგესალმებით ყველას, ჩემთვის დიდი პატივია დღეს აქ ყოფნა, როგორც შპს ანაკლია-განმუხური რესორტის დირექტორი. პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ მამუკა წოწერიას ნდობისთვის.
მოგეხსენებათ ანაკლია-განმუხური არის უზარმაზარი რესორტი, უზარმაზარი პოტენციალით, ასე რომ მე ვაპირებ თქვენთან აქტიურ თანამშრომლობას. გპირდებით რომ მე ვიქნები აქტიური და თქვენც უნდა იყოთ აქტიური. მოგეხსენებათ, რომ დავინიშნე სულ რაღაც სამი კვირაა, აქედან

გამომდინარე 2022 წლის ანგარიშს მოგახსენებთ ჩემი მოადგილე ბატონი ..... სამომავლო ხედვებზე და გეგმებზე მე შემიძლია შემდეგ თამამად ვისაუბრო“.

აზრი გამოთქვა: უფროსის მოადგილემ აღნიშნა: „მოგესალმებით მეგობრებო, ჩემთვისაც დიდი პატივია თქვენისთანა საზოგადოების წინაშე წარდგომა. მოგახსენებთ მცირე სამუშაოს შესახებ, რომელიც იქნა ჩვენს მიერ გაწეული 2022 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

მოგეხსენებათ, ანაკლია-განმუხური რესორტი დაფუძნებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ და წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც ანაკლია-განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე განსაზღვრავს არსებულ პროექტებს, მათ განხორციელებას და მისი განვითარების სტრატეგიას. თქვენთვის ცნობილია, რომ რამდენიმე წელია ამ საქმიანობას ეწევა ეს ორგანიზაცია და მის მისია წარმოადგენს დაუსრულებლი ობიექტების დასრულებას პროექტის შესაბამისად. ჩვენი ხედვა არის არსებული და დასრულებული ობიექტების მოწესრიგება, განვითარება, დაზიანებულების შეკეთება, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს და რეგიონს საინვესტიციო სათანადო პირობები შექმნას ტურისტული და კულტურულ-გასართობი ღონისძიებები ჩატარდეს მაღალ დონეზე, ისე როგორც შეეფერება რეგიონს. მოგეხსენებათ, რომ ანაკლია ჩვენი ქალაქის და რეგიონის კარიბჭეა, ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია და მის განვითარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ძალიან დიდი ანაკლია-განმუხურს შესაძლებლობები გააჩნია, მას შეუძლია გახდეს გამორჩეული საკურორტო სეზონზე ბუნებრივი კლიმატიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სანაპირო ზოლი არ არის იმხელა, როგორც ბათუმში. სხვა ქალაქებთან შედარებით უფრო უნალექო კლიმატია ჩვენთან, დასტურად შემიძლია მოვიყვანო გუშინწინდელი ამინდი, როდესაც ზუგდიდში კოკისპირულად წვიმდა, ანაკლია-განმუხურში კი მზიანი ამინდი იყო.

სამსახურის სტრუქტურის შესახებ მოგახსენებთ, რომ შპს-ს ყავს დირექტორი, ადმინისტრაციული და პროექტების მართვის სამსახური, რომლის დაქვემდებარებაში შედის რამდენიმე განყოფილება, საბიუჯეტო დაგეგმვისა და შესყიდვების სამსახური, ბუღალტრული აღრიცხვის სამსახური, ადმინისტრაციულ საკითხთა და მიმდინარე პროექტების მართვის სამსახური. ასევე 2022 წლამდე ჩვენს პასუხისმგებლობის ქვეშ შედიოდა აკვა-პარკის მართვა და ვახორციელებდით რაღაც პერიოდში, მაგრამ 2022 წელს კერძო ინვესტორს გადაეცა. სამსახურის საკადრო შემადგენლობაში დასაქმებულია 28 საჯარო მოხელე, აქედან ადმინისტრაციულ საკითხთა და მიმდინარე პროექტთა მართვის სამსახური მოიცავს 10 თანამშრომელს, თვითონ ადგილზე, სანაპიროზე და ბულვარში დასაქმებულია 35 თანამშრომელი, ხოლო სეზონურად დასაქმებული იყო 43 ადამიანი. ანაკლია-განმუხურის საზოგადოების ბიუჯეტი განსაზღვრულია საქმიანობა ბულვარის მოვლა-პატრონობით და 2022 წლის ბიუჯეტით გამოყოფილ იქნა სუბსიდია 780 000(შვიდასოთხმოციათასილარი) ლარის ოდენობით. ანაკლია-განმუხურის ბიუჯეტი გარკვეული რაოდენობის თანხით შემცირდა, გამომდინარე იქიდან, რომ აკვა-პარკის მოვლა-პატრონობა ჩვენგან გადაეცა სხვა ორგანიზაციას. ძირითადი სახსრები, რაც ფინანსურ ანგარიშვალდებულებას წარმოადგენს არის სახელფასო ფონდი-330 500(სამასოცდაათიათასხუთაილარი) ლარი, დანარჩენი მომსახურების ხარჯები შეადგენს 428 750(ოთხასოთხმოცდაორიათასშვიდასორმოცდაათილარი) ლარს, საკუთარი სახსრებიდან სახელფასო ფონდიდან 24 380(ოცდაოთხიათასსამსაცოთხმოცილარი) ლარი გაიხარჯა, ხოლო საქონლის და მომსახურების ხარჯები საკუთარი სახსრებიდან 162 446(ასსამოცდაორიათასოთხასორმოცდაექვსილარი) ლარი, ინფრასტრუქტურისა და მოვლა-პატრონობის ხარჯმა წლის განმავლობაში შეადგინა 306 900(სამასცხრაათასცხრაასილარი) ლარი, თანამშრომლების საპენსიო დანაზოგი - 4 459(ოთხიათასოთხასორმოცდაცხრამეტილარი) ლარი, საწვავზე გაიხარჯა 31 990(ოცდათერთმეტიათასცხრაასოთხმოცდაათილარი) ლარი, ელექტრო ენერგიაზე -65 571(სამოცდახუთიათასხუთასსამოცდათერთმეტილარი) ლარი, აკვა-პარკის წყალზე გაიხარჯა 151 000(ასორმოცდათერთმეტიათასილარი) ლარი, ინტერნეტ მომსახურებაზე - 1500(ათასხუთასილარი) ლარი, საწყობის იჯარაზე- 3 000(სამიათასილარი) ლარი, საკანცელარიო ინვენტარის შესაძენად-1 500(ათასხუთასილარი) ლარამდე და ავტომანქანის ტექ. დათვალიერებაზე

და მის რემონტზე 10 900(ათიათასცხრაასილარი) ლარი. სხვადასხვა საქონლისა და მომსახურებისთვის-2 739(ორიათასშვიდასოცდაცხრამეტილარი) ლარი.
ანაკლია-განმუხურის ბულვარის ტერიტორია, მოგეხსენებათ, თავის დროზე დაჭაობებული ადგილები იყო და მოხდა მისი ამაღლება და შესაბამისად წლების განმავლობაში დაირგო უამრავი ხე-მცენარეები, პალმები, ვაშინგტონია, ფინიკი, ევკალიპტი, ყველას სათითაოდ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამ ხე- მცენარეების მოსავლელად, და მითუმეტეს როცა ნიადაგი არ არის ხარისხიანი, როგორიც უნდა იყოს, ამისთვის „ბიოლოგიური დაცვის ცენტრი“ -თან გვაქვს ხელშეკრულება დადებული, ესეც ხდება ტენდერის სახით და გამარჯვებული ორგანიზაციაა „ბიო აგრო“, ხდება ბიოლოგიურ-ლაბორატორიული კვლევა ნიადაგის, მცენარეების, გვინიშნავს შესაბამის შესაწამლ საშუალებებს, სასუქებს, რითაც ხდება მცენარეების და ნიადაგის დამუშავება. ჩვენი ერთერთი მთავარი მოვლის ობიექტია საფეხბურთო სტადიონი, ასევე ამ სტადიონზეც ხდება შპს „ბიო-აგროს“ მიერ გაწეული რეკომენდაციებით მოვლა-პატრონობა. სტადიონს გაზაფხულზე სჭირდება ძირითადად მოვლა-პატრონობა, ხოლო ხე-მცენარეებს ორჯერ - გაზაფხულზე და შემოდგომაზე ვუტარებთ რევიზიას და შესაბამის შესაბამის მკურნალობას.
რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ჩვენს მიერ შარშან განხორციელდა შემდეგი საქმიანობები; მოგეხსენებათ, ბულვარის ტერიტორიაზე, როგორც ანაკლიაში, ისე განმუხურში, მდებარეობს ქვიშის ფეხბურთისა და ქვიშის ფრენბურთის სტადიონები, რომლებსაც ასევე ყოველწლიურად სჭირდებათ მოვლა, სარეველების მოშორება, მოფარცხვა, მოსწორება, ასევე საშხაპეების მოვლა-მოწესრიგება, გასახდელებს ჩაუტარდა შესაბამისი რეაბილიტაცია. 2020 წელს დაიწყო და 2022 წელს დამთავრდა ჩვენთვის ერთერთი პრობლემური საკითხის საბოლოოდ მოგვარება, ეს შეეხება არსებული პალმების, ვაშინგტონიებისა და ფინიკების მიმატების საკითხს, იმიტომ რომ სულ პრობლემური იყო, წყალი ჩადიოდა, ფუჭდებოდა და ჩვენს მიერ მოხდა ბაზრის კვლევა და ერთერთმა კომპეტენტურმა ორგანიზაციამ მოახდინა რეაბილიტაცია ამ ქსელის და 2022 წელს მოხდა მისი დამთავრება. საანგარიშო პერიოდში მოხდა ასევე 2021 წელს გაწეული ფინანსური საქმიანობის აუდიტორული შემოწმება. იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც ანაკლია-განმუხურის ბულვარს ემსახურებიან, მოხდა განმასხვავებელი, ბრენდირებული ქუდებისა და მაისურების შეძენა. ბულვარის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშოებისათვის იქნა შეძენილი სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები, ასევე ჩვენს სტადიონზე ტარდება საფეხბურთო მატჩები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ორი გუნდი ჩვენთან ატარებს თამაშებს და მათი ჰიგიენური მომსახურებისთვის საჭირო ნივთების შეძენა ჩვენს მიერ ხორციელდება. სამწუხაროდ, ზაფხულის პერიოდში მოხდა ძალიან ცუდი შემთხვევა, დაზიანებულ იქნა ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდი, დაზიანდა მინის მოაჯირები, ჩვენს მიერ მოხდა ამ ხიდის რეაბილიტაცია, 47 ერთეული მინის შესყიდვა და აღდგენა. ამ მინების ჩამსხვრევა მოხდა შეგნებულად, იმავე ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეოთვალის მეშვეობით მოხდა ამ ჩადენილი დანაშაულის და დამნაშავის გამოვლენა, ნაწილობრივ ჩვენი და ნაწილობრივ ზ/მ მერიის დახმარებით მოხდა ხიდის დროული რეაბილიტაცია. ასევე, მოგეხსენებათ, რომ 16 ჰა ფართობია ანაკლია-განმუხურის ბულვარი და ყოველწლიურად რვაჯერ ხდება ამ ტერიტორიის მოთიბვა-მოწესრიგება. ასევე, 2022 წლის განმავლობაში საღებავებით შეიღება ფეხბურთისა და ფრენბურთის ქვიშის სტადიონების ღობე, ტრიბუნები. ასევე სტიქიის დროს დაზიანებულ ამფითეატრს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. სამწუხაროდ, სტადიონის ტერიტორიაზე, ბილიკებზე შარშან გამოჩნდნენ ქვეწარმავლები და ჩატარდა მოკვლევა, ერთერთმა ორგანიზაციამ ჩაატარა ტერიტორიის შეწამვლა და განდევნის ოპერაცია, ლიკვიდაცია არ არის ნებადართული. მოგეხსენებათ, ჩვენს საფეხბურთო მოედანს გააჩნია ავტომატური მორწყვის სისტემა, დროთა განმავლობაში ზიანდება, შარშან მოგვიწია მისი ნაწილების გამოცვლა. ასევე, შეიქმნა ჩვენი ვებ-გვერდი, ჩვენი საქმიანობისა და ანაკლია-განმუხური რესორტის და ბულვარის პოპულარიზაციის მიზნით. სეზონის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში შევისყიდეთ შესაბამისი კომპეტენტური წარმომადგენლებისგან აუცილებლობები, რომლებიც

აუცილებლად სჭირდებოდა აკვა-პარკის ნორმალურ ფუნქციონირებას, ამისათვის შევიძინეთ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მთლიანად ამ სამუშაოების ღირებულებამ პროექტის მიხედვით შეადგინა 1 947 000(ერთიმილიონცხრაასორმოცდაშვიდიათასილარი) ლარი, მაგრამ ვინაიდან მუნიციპალიტეტის მიერ საინვესტიციო პირობების გათვალისწინებით 10 წლის ვადით გადაეცა შპს „აკვა ფანს“ და ასევე გადაეცა ის ვალდებულებები, რომლებიც ჩვენს მიერ იქნა მოკვლეული.

ზღვის სეზონი ძირითადად 4 თვე გრძელდება და ჩვენს მიერ განსაზღვრულ იქნა, საიჯაროდ შერჩეულ იქნა კომერციული საქმიანობისათვის 32 ლოკაცია და მომზადდა მათი აზომვითი ნახაზები შემდგომი აუქციონის ჩატარების მიზნით. ბულვარის ტერიტორიაზე 32 ლოკაციისა და 4 ერთეული კაპიტალური კაფეების საიჯარო ღირებულების დასადგენად შევისყიდეთ აუდიტორული მომსახურება. აღნიშნული 32 ლოკაციიდან 19 განმუხურის ტერიტორიაზეა, 13 -ანაკლიაში, 4 ერთეული კაპიტალური კაფეები განლაგებულია განმუხურის სანაპიროზე. აღნიშნული ლოკაციები ელექტრონული აუქციონზე გატანილ იქნა 3 ჯერ, მაგრამ სამწუხაროდ 7 ლოკაციის გარდა დარჩენილ ლოკაციებზე არავინ არ მიიღო მონაწილეობა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ასევე სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა საკუთარი ხარჯებით. გარდა დაზიანებული მინის მოაჯირების და მისი სამაგრებისა, რომლის შესყიდვა მერიასთან ერთობლივად მოხდა და ღირებულებამ შეადგინა 112 586(ასთორმეტიათასხუთასოთხმოცდაექვსლარი) ლარი. თვითონ პროექტის და დოკუმენტაციის შედგენისათვის გადახდილი იქნა 3 900(სამიათასცხრაასილარი) ლარი შპს-ს მიერ. ჩატარდა ცენტრალური წყალარინების სისტემასთან განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისა და ანაკლიის სველი წერტილების დაერთების პროექტების შედგენა, რომლის ღირებულება 52 000(ორმოცდათორმეტიათასილარი) ლარია და ამ წუთას მიმდინარეობს ამ პროექტის განხორციელება, თვითონ პროექტში 4 500 (ოთხიათასხუთასილარი)ლარი იქნა გადახდილი. აგრეთვე, მოხდა ბულვარის ტერიტორიაზე საშხაპეების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და შესყიდვა, რომელიც შედგენდა 1 350(ათასსამასორმოცდათილარი) ლარს, ხოლო რეაბილიტაციის ღირებულება იყო 70 664(სამოცდაათიათასექვსასსამოცდაოთხილარი) ლარი. ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე დაზიანებული გრანიტის ფირფიტების სარეაბილიტაციო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა მოხდა 3 000(სამიათასილარი) ლარის ოდენობით, ხოლო თვითონ პროექტის ღირებულების თანხაა 319 740(სამასცხრამეტიათასშვიდასორმოცილარი) ლარი. საზოგადოების მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა12 ელექტრონული ტენდერი, აუქციონის გარეშე. ეს არის აკვა პარკის ადმინისტრაციული შენობის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და შენობის გადახურვის სამუშაოები, შემდეგ არის წყლის აუზის სარეაბილიტაციო სამუშაო, რომელიც ყოველ წელს თუ არა, ყოველ მეორე წელს მაინც საჭიროა. აკვა პარკში ასევე დაზიანებული იყო შიდა წყალმომარაგების მილები და მისი საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა განხორციელდა. საანგარიშო პერიოდის დროს ხდება ჩვენს ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკის მომსახურების შესყიდვა 8 200(რვაათასორასილარი) ლარის ოდენობით. რვაჯერ განხორციელდა ბულვარის ტერიტორიის მწვანე საფარის მოთიბვის სამუშაოები, რომელშიც გაიხარჯა 59 500(ორმოცდაცხრამეტიათასხუთასილარი) ლარი. მოხდა ანაკლია-განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული საშხაპეების ქვედა ზედაპირის ხის საფარით მოწყობა, ამ პროექტის განხორციელება დაჯდა 57 588(ორმოცდათვრამეტიათასხუთასოთხმოცდათვრამეტილარი) ლარი. ხიდის მოაჯირების მინით აღდგენის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაში დაიხარჯა 3 960(სამიათასცხრაასსამოცილარი)ლარი. წყალარინებისა და კანალიზაციის დაერთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა 4 500(ოთხიათასხუთასილარი) ლარი გაიხარჯა. გრანიტის ფილების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე 3 000(სამიათასილარი)ლარი იქნა გადახდილი. საშხაპეებიის რეაბილიტაციისთვის 1 350(ერთიათასსამასორმოცდაათილარი)ლარი დაიხარჯა. საფეხმავლო ხიდის მოაჯირებისა და სამაგრების შეცვლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაში დაიხარჯა 95 000(ოთხმოცდათხუთმეტიათასილარი) ლარი, რითაც შესყიდულ

იქნა 47 ერთეული მინა და მისი სამაგრი, იგივე ხარისხის ორმაგი მინა, რაც იყო თავიდანვე გამოყენებული, რომელიც არ ტყდება და ამით ადამიანს არ აზიანებს, ფორმას არ კარგავს, მხოლოდ ფაქტურა იცვლება. ასევე ჩვენს მიერ შესყიდულ იქნა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები, რომლის განხორციელებისათვის მთლიანობაში 1 238 939(ერთიმილიონორასოცდათვრამეტიათასცხრაასოცდაცხრამეტილარი) ლარი დაიხარჯა. ეს ეხება განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე ჩვენს მიერ, თავის დროზე ე.წ. კუსტარულად (ხრეშით) გაკეთებული ბილიკების რეაბილიტაციას, რომლებიც კაპიტალურად უნდა მოეწყოს 5 ადგილას, ერთ ადგილას ასფალტის ბილიკი უნდა მოეწყოს თავისი ავტომატური ჩამკეტებით, გამომდინარე იქიდან, რომ დისტრიბუციას მიეცეს საშუალება ბულვარის ტერიტორიაზე იმოძრაოს თავისუფლად. ჩვენს მიერ დაგეგმილი იყო და პროექტი შეძენილია, სტადიონის წინ არსებული საკმაოდ დიდი ტერიტორიის ავტომანქანების სადგომის მოსაწყობად, რომელიც იქნება დაცული ავტოსადგომი და მისი მოწყობის ღირებულება 30 000(ოცდაათიათასილარი) ლარს შეადგენს. აგრეთვე განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ატრაქციონები მწყობრიდან გამოსულია და მოხდა დემონტაჟი, რეაბილიტაცია და მოწყობა ახლი საბავშვო ატრაქციონების ჯდება 150 000(ასორმოცდაათიათასილარი) ლარი. თავის დროზე, როდესაც განმუხურში და ანაკლიაში ტარდებოდა მუსიკალური ფესტივალი, მოთხოვნა იყო განსაკუთრებით ჩამოსული სტუმრების მხრიდან, კერძოდ, ძვირადღირებული დიჯეების მხრიდან, რომ მოწყობილ იყო მოსასვენებელი ოთახი, მოვახდინეთ ამის საპროექტო დოკუმენტაციის შეძენა 100 000(ასიათასილარი) ლარის ოდენობით. ამავე დროს ანაკლია- განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე ჩვენს მიერ იქნა შესყიდული პროექტი სათვალთვალო კამერების მონტაჟისთვის, რომლის განხორციელება ჯდება 126 000(ასოცდაექვსიათასილარი)ლარი, რომლითაც სრულად მოცული იქნება ანაკლია-განმუხურის ბულვარის მთელი ტერიტორია. ასევე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის სტადიონს შემოსაზღვრული აქვს დამცავი ბადე, რომლის საექსპლუტაციო ვადა დიდი ხანია გასულია, ამ ბადის და მისი სადგამი კონსტრუქციის გამოსაცვლელად შედგენილია პროექტი, რომლის განხორციელება ჯდება 100 000(ასიათასილარი)ლარი. ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე სტიქიამ დააზიანა ქვიშის ყველაზე დიდი სტადიონის ტრიბუნა, რომლის რეაბილიტაციის პროექტი 15 000(თხუთმეტიათასილარი)ლარი ჯდება. ანაკლიის ბულვარის შესასვლელში აუცილებლობას წარმოადგენს შლაგბაუმის მოწყობა. ამფითეატრის მისასვლელ ტერიტორიაზე დაგეგმილი გვქონდა მინდვრის საფარის მოწყობა, პროექტი მომზადებულია და მისი ღირებულებაა 50 000(ორმოცდაათიათასილარი)ლარი. მოგეხსენებათ, ერთ-ერთი საუკეთესო ადგილას განმუხურში, ზღვის პირას, ენგურის საზღვართან ფიჭვები იყო გაშენებული, რომელიც სამწუხაროდ დაავადებამ შეიწირა. ამ ტერიტორიაზე ხე-მცენარეების აღდგენისთვის პროექტი გავამზადეთ და მისი სავარაუდო ღირებულება შეადგენს 100 000(ასიათასილარი) ლარს. ასევე შშმ პირებისათვის განსაზღვრული გვაქვს განმუხურის ბულვარში პანდუსების მოწყობა, ამ პროექტის ღირებულება შეადგენს 15 000(თხუთმეტიათასილარი) ლარს. ანაკლიის ბულვარისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის წყალარინების სისტემაზე უკვე მოგახსენეთ, ეს პროექტი ჩაშვებულია, მიმდინარეობს მუშაობა, 2 დღეა რაც დაიწყო და მოგვარდება ძალიან მალე, მისი ღირებულება შეადგენს 52 000(ორმოცდათორმეტიათასილარი) ლარს. შემდეგია ანაკლია-განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული საშხაპეების რეაბილიტაცია, ამ პროექტის განხორციელების ღირებულება შეადგენს 70 600(სამოცდაათიათასექვსასილარი) ლარს. გრანიტის ფილების შეცვლა, რომელიც დაზიანებულია, როგორც ანაკლიაში, ისე განმუხურში, ამ პროექტის განხორციელება სავარაუდოდ შეადგენს 319 000(სამასცხრამეტიათასილარი) ლარს.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ეხლა რა პროექტებიც ჩამოთვალეთ, მესმის საჭიროება მოითხოვს და ნამდვილად გასაკეთებელია. ერთადერთი საკურორტო ზონა გვაქვს რომელიც უნდა გაკეთდეს ლამაზად და კარგად, ნებისმიერი ტურისტის მოსაზიდად, მაგრამ ამას სჭირდება განხორციელება, მერია ამ პროექტებიდან რას აფინანსებს.“

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განმარტა: „ერთი პროექტის განხორციელება ეხლა მიმდინარეობს, კერძოდ, წყალარინების სისტემა, სხვებიც გამზადებული პროექტებია და ასევე გაკეთდება.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „პროექტებზე ვისაუბრეთ, პრობლემები რა გაქვთ? “

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „რა პროექტებიც გვაქვს წარმოდგენილი ყველა პრობლემებიდან გამომდინარე შეირჩა.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ზღვას რომ გამოცლილი აქვს მიწა ამფითეატრთან და კაფე-რესტორანთან ამ საკითხზე რას იტყვით?“

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „ეს პრობლემა ჩვენს კომპეტენციას სცილდება, ამას სჭირდება გარემოს დაცვის სპეციალისტების ჩარევა და მათ მიერ პროექტის მომზადება.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „გარემოს დაცვა რა შუაშია, თქვენ ხართ და თქვენ რა ხედვა გაქვთ? რას ფიქრობთ?“

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „ამ 11 წლის განმავლობაში რეაბილიტაციის გარდა, რამე შენობა დაიდგა, რამე ახალი გაკეთდა? დაიწყო ივანიშვილმა რაღაცა, შეჩერებულია, კიდევ ერთი ისიც შეჩერებულია. პრეზენტაცია რომ დაიწყეთ, მისიაში გიწერიათ „დაუსრულებელი ობიექტების დასრულება პროექტების შესაბამისად“, რომელი ობიექტი დაასრულეთ დაუსრულებელი?

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „ერთერთი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, არსებულ კაფე-რესტორანს, რომელიც შემინვის გარეშე იდგა და ფაქტიურად იჟანგებოდა, მოხდა სრულად შემინვა და საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩატარდა ამ მიმართულებით.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ განაცხადა: „დანარჩენი პრობლემები?“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განმარტა: „მოგახსენებთ თუ რა გაკეთდა ანაკლიაში. რა თქმა უნდა, იყო და ახლაც არის ძალიან სერიოზული გამოწვევები ანაკლიაში, რაც საჭიროებს საკმაოდ სოლიდურ ფინანსურ რესურსს. ყველამ ვიცით რომ ეს ასე მარტივად გადასაწყვეტი საკითხი არ არის. თუ რა გაკეთდა შარშან ნაპირსამაგრი სამუშაოებთან დაკავშირებით გეტყვით, რომ 1 200 000(ერთიმილიონორასიათასილარი) ლარი დაიხარჯა ამ მიმართულებით. ფაქტიურად, სასტუმრო „ანაკლია“ -ს წინ სანაპირო ზოლი არ არსებობდა, წალეკილი იყო და მდინარე იყო გადმოსული. ეხლა ეს სანაპირო აღდგა, ასევე გაკეთდა ჩინური კაფე-რესტორნის გაყოლებაზე დიდი ქვებით ნაპირსამაგრი, რაც გაკეთდა 2022 წელს და ამ წლისთვის ეს სანაპირო აბსოლუტურად მოწესრიგებულია. საკმაოდ კარგი პლაჟი მოეწყო, დასუფთავებული და რაც მთავარია უსაფრთხო. ამ მხრივ ამ პლაჟის მოშლის საშიშროება მოიხსნა ანაკლიაში. რაც შეეხება განმუხურს, აქ რეალურად არის გამოწვევა ამფითეატრი და კაფე-რესტორანი. მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში ასევე იყო დიდი სტიქია, წყალმოვარდნა, თუ არ ვცდები 1 200 000(ერთიმილიონორასიათასილარი) ლარი იყო იქაც ამფითეატრის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც აღდგა. ამის შემდეგ რამდენიმე კონცერტიც გაიმართა. დღეს ყველაზე მწვავედ საკითხი დგას სწორედ კაფე-რესტორანთან მიმართებაში, ნაპირსამაგრის გამაგრება, ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გეტყვით, როგორც წინაზე, ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან აქტიური კომუნიკაცია გვქონდა სამთავრობო უწყებებთან მდ. ენგურის დელტა შენაკადის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების თაობაზე, ასევე გვაქვს მსგავსი კონსულტაცია შესაბამის უწყებებთან რომ დროულად მოხდეს რეაგირება და დაცვა.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „და რა გიპასუხეს?“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განმარტა: „პასუხი ის გვაქვს, რომ სამუშაოები დაიწყება ძალიან მალე. პირველი ნაწილი ძალიან სწრაფად დავიწყეთ, რადგან საფრთხე იყო რეალური და ახლაც არის საკმაოდ საფრთხე და ვცდილობთ სწრაფად მოხდეს რეაგირება. კაფე-რესტორანი შეიღება, აღდგენა-რეაბილიტაცია ჩაუტარდა ორი წლის წინ, რომლისთვისაც დაიხარჯა 2 500

000(ორიმილიონხუთასიათასილარი) ლარი. ეს ყველაფერი საბიუჯეტო სახსრებია და კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ეს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებს აღემატება. ანაკლიაში ასევე აშენდა სამაშველო სამსახურის ახალი შენობა, აღიჭურვა შესაბამისი თანამედროვე აღჭურვილობით, აგრეთვე აშენდა ბაღი, რომელიც 2021 წელს შევიდა ექსპლოატაციაში, მომავალ წელს აუცილებლად დაიწყება ახალი სკოლის მშენებლობა, ხოლო ამ წელეს დაიწყება ამბულატორიის მშენებლობა. რაც შეეხება ტურისტული მიმართულებით, ფონდ „ქართუს“ მიერ დაწყებული სასტუმროს მშენებლობა განახლდა, დაწყებულია სამშენებლო მასალის შემოტანა და ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელდება მუშაობა. რაც შეეხება რესტორანს, კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად ეკონომიკის სამინისტრომ გადასცა ჩინურ კომპანიას საინვესტიციო ვალდებულებებით და ის ამ ვადებში ჯერჯერობით ეტევა.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „როდის გადაეცა ბატონო კონსტანტინე?“
აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განმარტა: „თუ არ ვცდები შარშან. კიდევ ერთხელ გეუბნებით, მაგრამ საინვესტიციო ვალდებულებით განსაზღვრულ ვადაში ეს კომპანია ზის და იმედი გვაქვს რომ დაიწყებს დროულად სამუშაოებს და დასრულდება ვადებში.“
აზრი გამოთქვეს: მარიამ ახალაიამ აღნიშნა: „ყველას გეცოდინებათ, ხისგან გაკეთებული ე. წ. ბუნგალოები, რომელიც ჭილოფით არის გადახურული რაღაცა კონსტრუქციაა, ამისი დემონტაჟი ან რეაბილიტაცია თუ იგეგმება? იმიტომ რომ იქ არის ჩვეულებრივი ანტისანიტარია და მიუსაფარი ძაღლების თავშესაფრად არის ქცეული, ფიზიკურად საფრთხეს წარმოადგენს იქ გავლაც კი, ოდესმე თუ მიეხედება მაინტერესებს? “
აზრი გამოთქვეს: დავით შელიამ განაცხადა: „რა თქმა უნდა გეთანხმებით, ანაკლია-განმუხურის ბულვარში ეს ნაგებობები არის უდიდესი პრობლემა, ამას უნდა მიეხედოს, ვინაიდან ანაკლია-განმუხური არის ჩვენი მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათი.“
აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „როდის იწყება სეზონი?“
აზრი გამოთქვეს: დავით შელიამ განაცხადა: „სეზონი დაწყებულია, მაგრამ სამი კვირაა რაც დავინიშნე, ნუ მომთხოვთ იმას, რაც შეუძლებელია. მომავალ წელს როდესაც ანგარიშის წარდგენა იქნება მაშინ შემიძლია გიპასუხოთ ყველა კითხვაზე. ანაკლია ჩემთვის არ არის უცხო, მე ანაკლიელი ვარ, მე იქ ვცხოვრობ, ვიცხოვრებ და მინდა ჩემი კარგი კვალი დავტოვო.“
აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ბატონო დავით, გამძლეობას და წინსვლას გისურვებთ. მაინტერესებს მიმდინარე 2023 წელში რაც აქ პროექტებია ჩამოთვლილი რომელიმე ერთი კეთდება თუ არა? “
აზრი გამოთქვეს: დავით შელიამ განმარტა: „წყალარინების დაერთება უკვე დაწყებულია ორ ადგილას, ერთი არის სტადიონი და მეორე არის ბულვარის ბოლო მხარე. ეს არის ერთერთი დაწყებული პროექტი.“
აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ძალიან ბევრი პროექტები გაქვთ გაკეთებული, მაგრამ მაინტერესებს. განმუხურის უნიკალური შადრევანი რომ არ მუშაობს მისი რეაბილიტაციის პროექტი თუ გაქვთ გაკეთებული თუ საერთოდ არ იგეგმება რეაბილიტაცია?“
აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „განმუხურის შადრევანი სამწუხაროდ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და მისი რეაბილიტაციის საკითხი დღის წესრიგში არ დგას.“
აზრი გამოთქვეს: მოქალაქემ აღნიშნა: „ვიცით რომ 2022 წლის ანგარიშზე ვსაუბრობთ და 2022 წელს თურმე პროექტებზე გაიხარჯა საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხა. ვიცით 2023 წელზე რომ არ ვსაუბრობთ, ჯერ გაკეთებული არ არის, მაგრამ 2022 წლის ბოლოს ანაკლია-განმუხურის რესორტმა მერიასთან და საკრებულოსთან ერთად დაამტკიცა 2023 წლის ბიუჯეტი. ამ ბიუჯეტში თუ გაქვთ გათვალისწინებული ის პროექტები, რომელიც უნდა გაკეთდეს. მესმის რომ არ არის გაკეთებული, მაგრამ ბიუჯეტში გაქვთ თუ არა წელს გათვალისწინებული იმ შარშან გაკეთებული პროექტების განხორციელებისთვის საჭირო თანხები.“

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განმარტა: „სამწუხაროდ, ეს თანხები წლევანდელ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ბატონო კონსტანტინე, შეკითხვა მაქვს თქვენთან. ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა ჯარიმებიდან (სამწუხაროდ) დაახლოებით 400 000(ოთხასიათასილარი)ლარით, მგონი არ იქნება ურიგო, რომ ამ თანხით რომელიმე ერთერთი პროექტი გაგვეკეთებინა.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „ბატონი კონსტანტინე ამ კითხვაზე ვერ გაგცემთ, რადგან ეს თანხა ჯერჯერობით არ არის ასახული, მოლოდინშია.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განაცხადა: „რაც შეეხება ბიუჯეტს, რა თქმა უნდა ბიუჯეტი რაც ჩვენ დავგეგმეთ, მათ შორის მოსაკრებლები, შემოსავლები დ ა. შ. ერთერთი კომპონენტი იყო მოლოდინი ჯარიმებით 500 000 ლარი. ეხლა თქვენ რაზეც საუბრობთ რომ კამერების განთავსების შემდეგ რა თქმა უნდა მოლოდინი გვაქვს რომ მოიმატებს შემოსულობები ამ ნაწილში. რაც შეეხება, ბატონო დავით, თქვენს წინადადებას ბიუჯეტის შესრულების ნაწილში რაღაცეები ერთმანეთს აბალანსებს. მაგალითად, მარტივად რომ ვთქვათ, თუ ვერ გაიყიდა პირობითად, სასტუმრო ოდიში, აი ის ნამატი ჯარიმებით თავისთავად შეავსებს ამ დაშლილ სივრცეს. ყველა მოლოდინი რაც გვქონდა, პრივატიზაცია, მოსაკრებელი, რაც გვქონდა ბიუჯეტში დაგეგმილი და პროგნოზირებული თუ სრულად შევასრულეთ (მიუხედავად იმისა, რომ მაინც არ მოგვცემთ მოწონებას) ასეთ დროს არის საუბარი ზედმეტობით თანხებზე, დამატებით თანხებზე, რომლის ახალი პროექტებისკენ მიმართვის რესურსი გვექნება. ჯერჯერობით სამწუხაროდ, როგორც ბატონმა ბესიკმა თქვა ეს თანხა არ არის ასახული.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „შარშან ანაკლია-განმუხურის ტერიტორიაზე 33 ლოკაციიდან რამდენი იყო გაქირავებული და რამდენი იყო შემოსავალი?“

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „შარშან სულ გაქირავებული იყო 7 ლოკაცია, ხოლო შემოსავალი ზუსტად არ მახსოვს რამდენი იყო.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „რატომ არ გაქირავდა შარშან 7 ლოკაციაზე მეტი და ასევე მაინტერესებს წელს რამდენი გაქირავდა?“

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „შარშან არავინ არ მიიღო აუქციონში მონაწილეობა, რაც შეეხება წელს თითქმის ყველა გაცემულია და ეს არის შემოსავლის ერთერთი ძირითადი წყარო.“

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განმარტა: „რაც შეეხება წლევანდელ წელს, 36 ლოკაცია ორჯერ გვაქვს უკვე გატანილი აუქციონზე და პირველ ჯერზე დაფიქსირდა 9 ლოკაციაზე ლოტი და მეორეზე ერთი, ჯამში 10 გამარჯვებული გვყავს. დანარჩენი სამწუხაროდ ჩაიშალა. ახლა ვამზადებთ წერილს ან ფასის დაკლებაზე, ან იგივე ფასით გატანაზე. არსებულ 32 ობიექტს წელს დაემატა 9 ობიექტი, განმუხურის ტერიტორიაზე სანაპირო ზოლი დაყოფილი 9 ნაწილად -ყველაზე მცირე იწყება 337 კვ. მეტრიდან და ყველაზე დიდია 1500 კვ. მეტრი. ეს არის მხოლოდ შეზლონგის და ქოლგისთვის განთავსებისთვის, რომელიც ასევე ჩავარდა.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „რამდენის მოლოდინი გაქვთ ამ წელს გაქირავებიდან?“

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „რაც შეეხება მოლოდინს შემოსავლებიდან, ამის განსაზღვრა ძალიან ძნელია, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ველოდებოდით ამ ტერიტორიებიდან იჯარით მინიმუმ 20 ერთეულის გაცემას, რაც ასე არ მოხდა, გაქირავდა მხოლოდ 10 ერთეული.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ფასმა უნდა დაიკლოს “. **(სავარაუდოდ იგულისხმება საწყისი საპრივატიზებო ფასი)**

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „ეს არის სწორედ პრობლემა“.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განაცხადა: „არა მგონია ფასის დაკლება სწორი იყოს, იმიტომ რომ მომავალ წელსაც ყველა ისე გააკეთებს რომ პირველ ჯერზე არ გავლენ აუქციონზე.“

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „წელსაც ასე გააკეთეს, მოდიოდნენ და ასეთ შეკითხვას გვისვამდნენ- თუ ჩავარდება ფასი დაიწევს და მერე მივიღებთო მონაწილეობას, აქედან

გამომდინარე ორი ვარიანტი დაგვრჩა, ხელახლა გავიტანოთ იგივე ფასით ან ფასი უნდა დავაკლოთ, ამას ჩვენ ვერ ვახერხებთ, საკრებულომ უნდა გადაწყვიტოს. კანონით ჩვენ შეგვიძლია იმ საწყის ღირებულებას დავაკლოთ მაქსიმუმ 45 % -მდე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ. ერთხელ ფასდაკლება უკვე მოხდა ჩვენი მხრიდან კაფეების შემთხვევაში, 4 კაფედან 3 რომ იჯარით გაიცა ერთზე 10 % ფასდაკლება მოხდა, დანარჩენებზე - 20 % ფასდაკლება. ეს სწრაფად უნდა გადავწყვიტოთ, უკვე სეზონში ვართ შესულები".

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „ის 13 საპროექტო ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია რომ გაკეთდა, რამდენი დაჯდა?"

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „ეს 13 პროექტი, რაც არის წარმოდგენილი არის ჩვენი ხედვა ამ წელს მოსაგვარებელი პრობლემების, რაც ეხლა ჩამოთვლილია ამათზე ხარჯთაღრიცხვა არ არსებობს".

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „რაც საპროექტო ხარჯთაღრიცხვა გააკეთეთ იმაში რამდენი დაიხარჯა?"

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „საპროექტო ხარჯთაღრიცხვაში დაახლოებით 45 000(ორმოცდახუთიათასილარი) ლარამდე იყო გახარჯული".

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „წელს გავიგეთ რომ ვერაფერს ვერ აკეთებთ, სულ რამდენიმე წყალარინების პროექტი ხორციელდება, დანარჩენი ვერ ხორციელდება. თუ მომავალ წელს გექნათ ამის თანხები ეს ხარჯთაღრიცხვები ისევ ხელახლა გექნებათ გასაკეთებელი?"

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „სავარაუდოდ ხარჯთაღრიცხვის გადაფასება ხდება, რაც უფასოა, როდესაც კომპანია აკეთებს ხარჯთაღრიცხვას მას ვალდებულება აქვს რომ ეს პროექტი 5 წლის განმავლობაში უფასოდ უნდა გადააფასოს. ამ შემთხვევაში კორექტირების შეტანას ვითხოვთ, სწორედ სტადიონის წინ მდებარე ტერიტორიას, სადაც ფასიან ავტოსადგომს ვაწყობთ, იქ გათვალისწინებული არის მხოლოდდამხოლოდ ჩვეულებრივი შლაგბაუმი, მაგრამ ჩვენ გვინდა რომ დაფიქსირდეს გადახდა ბარათით ან მონეტით, რაც ავტომატურად აისახება ჩვენს ანგარიშზე, რათა არ გვქონდეს შეხება ნაღდ ანგარიშსწორებასთან. აპარატი იდგმება, რომელიც ჩვეულებრივ წაიღებს მომსახურების საკომისიოს. დაახლოებით 175 ავტომანქანის ადგილი გვექნება."

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ეს ავტოსადგომის თემა ამ წელს იქნება თუ მომავალ წელს?"

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „ჩვენ ვცდილობთ რომ ეს პროექტი საკუთარი სახსრებით აუცილებლად ამ წელს განვახორციელოთ, ცოტა შეზღუდულები ვართ სამუშაოების ჩატარებაში, რადგან საკურორტო სეზონია, მაგრამ გვაქვს იმის შესაძლებლობა რომ პარალელურად ვიმუშაოთ, რადგან სანაპირო და ბულვარის ზონიდან ცოტა განაპირას მდებარეობს და ვფიქრობთ რომ დამსვენებლებს ხელს არ შეუშლის".

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „როდის გააკეთეთ საჭიროებების პროექტი, პერიოდი მაინტერესებს?"

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განმარტა: „საჭიროებების პროექტი 2022 წლის გაზაფხულზე გავაკეთეთ. მოვიკვლიეთ საჭიროებები და 1 900 000(ერთიმილიონცხრაასიათასილარი) ლარის საჭიროებები დაგვიდგა წინ, ამაში შედიოდა როგორც შენობის შიდა რემონტი, ასევე გადახურვა, აუზების რეაბილიტაცია, მილების რეაბილიტაცია, ელექტროსისტემის რეაბილიტაცია."

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „განმუხურში სტადიონთან დაკავშირებით ზუგდიდის ფეხბურთის გუნდები თამაშობენ და იქ რაღაც შესყიდვებს რომ ახორციელებთ, რატომ ?"

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „შესყიდვებს ვახორციელებთ ჰიგიენური საშუალებების, იმიტომ რომ მათ მომსახურება სჭირდებათ, წყალი უნდა გაუცხელო და ა.შ. ამას ყველაფერს რა თქმა უნდა ჩვენ ვაკეთებთ."

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ბატონო კონსტანტინე „ოდიში-1919" რატომ არ იხდის თანხას."

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განმარტა: „ოდიში-1919“ ჩვენი მუნიციპალური გუნდია. სხვა კერძო კლუბებთან ფორმდება იჯარის ხელშეკრულება და შესაბამისად იხდიან დადგენილ თანხას-500(ხუთასილარი) ლარს.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ბოლო შეკითხვა მექნება, თქვენ აღნიშნეთ, რომ ანაკლიაში შლაგბაუმი უნდა გააკეთოთ, რამ გამოიწვია მისი გაკეთების აუცილებლობა?“

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „უბრალოდ იმიტომ, რომ შემთხვევითი მანქანა არ მოხვდეს ბულვარის ტერიტორიაზე. შედიან უკონტროლოდ ამ ტერიტორიაზე, აყენებენ მანქანებს და ა.შ.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განაცხადა: „ბატონო გიორგი, ჩვენ დაზღვეულები არ ვართ, მოქალაქემ სამართალდარღვევა შეიძლება ჩაიდინოს როგორც ბულვარის ტერიტორიაზე, ასევე ქალაქის ცენტრში“.

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „მაშველები რომ არიან აკვა-პარკში, არიან თუ არა გადამზადებულები და სად მოხდა მათი გადამზადება?“

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „ადგილზე მოხდა მათი გადამზადება და რაც შეეხება სანაპირო ზოლის მაშველებს, ისინი შსს სამაშველო სამსახურს ექვემდებარებიან, 112 -ს.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „გადამზადებულები არიან თუ იცით?“

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „ალბათ, იმიტომ რომ ყველანი სპეციალისტები არიან, შესაბამისი ტექნიკა გააჩნიათ. სულ 10 საგუშაგოა და ორი მაშველი დგას თითოეულზე, სამწუხაროდ ყველგან ხდება უბედური შემთხვევები, გაგიგიათ ეხლახანს მოხდა ურეკში, ბათუმში, ქობულეთში, ჩვენთან ერთი შემთხვევა არ ყოფილა.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „თუ ამ მიმართულებით ამოვწურეთ კითხვები შეგვიძლია ფინანსურ ნაწილზე გადავიდეთ, მანამდე მინდა ჩემი მოსაზრება დავაფიქსირო. თავდაპირველად შპს-ს ბიუჯეტი 780 000(შვიდასოთხმოციათასილარი) ლარით დამტკიცდა, შემდეგ დაემატა 50 000(ორმოცდაათიათასილარი) ლარი და გახდა 830 000(რვაასოცდაათიათასილარი) ლარი. აკვა-პარკის გამოყოფის შემდეგ მოაკლდა დაახლოებით 70 000(სამოცდაათიათასილარი) ლარი. ბატონო კონსტანტინე რატომ 70 000(სამოცდაათიათასილარი) ლარი? რა მოხდებოდა 50 000(ორმოცდაათიათასილარი) ლარი რომ მოკლებოდა შპს-ს ბიუჯეტს.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განაცხადა: „იმიტომ რომ ყულიშკარში ვერ გავაკეთებდით გადახურვის სამუშაოებს, რომელიც 72 000(სამოცდათორმეტიათასილარი) ლარი დაჯდა.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „ბიუჯეტი გარკვეულია და დადგენილია. ამ ბიუჯეტით რაც გაკეთებულია იმაზე მეტის გაკეთება შეუძლებელია. ეს ფაქტიურად სახელფასო ბიუჯეტი არის. მაინტერესებს, კონკრეტული ციფრი რომ მითხრათ, საკუთარი შემოსავალი რამდენი იყო 2022 წელს?“

აზრი გამოთქვეს: ბუღალტერმა განაცხადა: „2022 წელს შემოსავალი იყო 59 200(ორმოცდაცხრამეციათასორასილარი) ლარი.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „მაშინ ამის განმარტება გამიკეთეთ, შეიძლება რაღაც მე ვერ გავიგე: შპს-ს სახელფასო ფონდმა შეადგინა საკუთარი სახსრებიდან 24 000(ოცდაოთხიათასილარი) ლარი, ასევე საქონლისა და მომსახურების ხარჯი საკუთარი სახსრებიდან შეადგენს 162 000(ასსამოცდაორიათასილარი) ლარს, ე. ი. ჯამში გამოდის 186 000(ასოთხმოცდაექვსიათასილარი) ლარი. ეს გამიშიფრეთ თუ შეიძლება.“

აზრი გამოთქვეს: ბუღალტერმა განაცხადა: „შემოსავალი და საკუთარი სახსრები არის სხვადასხვა. 59 200(ორმოცდაცხრამეტიათასორასილარი) ლარი ეს არის შემოსავალი, გაქირავებით შემოსული, ხოლო რაც შეეხება საკუთარ სახსრებს, ჩვენ დღგ ზედმეტობა გვაქვს შემოსავლების სამსახურში, არ გვიბრუნებენ, იმიტომ რომ ვადაგასულია და ჩათვლებს გვიკეთებს ხელფასებიდან, საშემოსავლოს არ ვრიცხავთ და აი იქიდან გამომდინარე გვაქვს თანხები, დანაზოგი.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „რამდენი დარჩა იმ თანხებიდან?“

აზრი გამოთქვეს: ბურალტერმა განაცხადა: „2011 წლიდან იყო 7 000 000(შვიდიმილიონილარი) ლარი, ახლა დარჩენია 3 700 000(სამიმილიონშვიდასიათასილარი) ლარამდე. 3 000 000(სამიმილიონილარი) ლარამდე ქონების გადასახადებს გვითვლიდნენ, წარვადგენდით დეკლარაციას და ჩათვლები ხდებოდა. ახლა, დღეის მდგომარეობით ხელფასების დეკლარირებას ვახდენთ, საშემოსავლოს არ ვიხდით და ეს თანხა აკუმულირდება ჩვენთან და საჭიროებიდან გამომდინარე ვანაწილებთ, თან ასევე ამ თანხას ემატებოდა დღგ-ს თანხა, რომელსაც არ ვიხდიდით. ასე რომ შემოსავალი სულ სხვა არის."

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „2022 წელს რა მოცულობის და რა სახის ტენდერი ჩაატარეთ?"

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ყალიჩავამ განაცხადა: „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა მოხდა აუქციონის გარეშე (სარეაბილიტაციო პროექტების) ჯამში 11 800(თერთმეტიათასრვაასილარი) ლარი, ძირითადად ეხებოდა აკვა-პარკის რეაბილიტაციის პროექტს."

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „მე მაინტერესებს დიდი მოცულობის, 5-10 ათას ლარზე ზემოთ პროექტები."

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „ასეთი იყო მოთიბვის სამუშაოები-49 500(ორმოცდაცხრაათასხუთასილარი)ლარი, წლის განმავლობაში მთელი ეს ტერიტორია 8 ჯერ მოითიბა, ასევე ხიდის მინების რეაბილიტაცია -57 598(ორმოცდაჩვიდმეტიათასხუთასოთხმოცდათვრამეტილარი) ლარი, ხოლო პროექტირება - 3 960(სამიათასცხრაასსამოცილარი)ლარი."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „მარტო პროექტირების თანხა მაინტერესებს 2022 წელს გახარჯული, ჯამში რამდენია?"

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „გამარტივებულ შესყიდვაზე ტენდერი 5 000(ხუთიათასილარი) ლარზე მეტი არც ერთი არ იყო, ხოლო კონსოლიდირებული ტენდერი არ გვქონია."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „2022 წელს პროექტირების ხელშეკრულება რომ გააფორმეთ სხვადასხვა მიმართულებით საპროექტო-ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, ჯამში 713 კოდზე ხელშეკრულება რა თანხაზე გააფორმეთ? "

აზრი გამოთქვეს: უფროსის მოადგილემ განაცხადა: „დაახლოებით 23 000(ოცდასამიათასილარი) ლარზე გაფორმდა ხელშეკრულებები."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „მე ასე გავიგე, თუ სწორად მივიღე ინფორმაცია 713 კოდზე დაახლოებით 23 000 ლარზე გააფორმა შპს-ემ სხვადასხვა მომწოდებელთან ხელშეკრულება პროექტირებაზე, რომელიც გააფორმა გამარტივებული წესით".

აზრი გამოთქვეს: ბესო გაბუნიამ აღნიშნა: „ბატონებო, ბოლოსკენ რომ წავიდეთ, შენიშვნა არა, უფრო სწორედ რეკომენდაციის სახით მინდა ვთქვა. მე ვითვალისწინებ ახალი მენეჯერის დანიშვნას, რომელსაც წარმატებებს ვუსურვებ. იგივე მდგომარეობაა რაც წინამორბედთან იყო, 2022 წლის საქმიანობა თქვენ ნამდვილად არ გეხებათ, სამომავლოდ რომ გაითვალისწინოთ, შესყიდვები, თავისი კოდებით, ჩაშლილი უნდა იყოს იდეალურად, არ უნდა გვიწევდეს ახსნა-განმარტების მოთხოვნა, გასაგებად, იდეალურად უნდა იყოს ყველაფერი ჩამოწერილი. ბატონ კონსტანტინესაც ეხება და თქვენც გეხებათ, პროექტები, რომლებიც წარმოდგენილია, ფაქტიურად არაფერი დარჩა, ან სახელფასომ წაიღო, რაღაც თანხები კომუნალურმა, ტრანსპორტმა და ა. შ. ფაქტიურად არ დარჩა და რაზე ვსაუბრობთ, მილიონიან პროექტებზე? ცენტრალურიდან ველოდებით რამეს?"

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „რა თქმა უნდა ველოდებით ცენტრალურიდან."

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „ძალიან ცუდი რეალობაა, რა შევაფასო, აქ, უშუალოდ „ანაკლია-განმუხური რესორტის" ბრალეულობას მართლა ვერ ვხედავ, ფაქტიურად სახსრები არ ყოფნით და რა უნდა გაეკეთებინათ?"

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განაცხადა: „მოგახსენებთ, ბატონო ბესიკ, ამხელა სამუშაოები მარტო მუნიციპალური და ადგილობრივი თანხებით რომ გაკეთდება არის ილუზია და აცდენილია რეალობას. რა გზებით შეიძლება გაკეთდეს ეს ყველაფერი? თქვენ იცით ინიცირება მოხდა მეორე პროექტის, პირველი იყო განახლებული რეგიონები, რისთვისაც ცენტრალურმა ბიუჯეტმა გამოყო 500 000 000(ხუთასიმილიონილარი) ლარი. მსგავსი ცენტრალური მეორე პროგრამა დაინიცირდა ტურისტული ლოკაციების რეაბილიტაციის მიზნით და პირველ ათ საპილოტე მუნიციპალიტეტებში შედის ჩვენი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი. მთლიანად, ათივე მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი არის 200 000 000(ორასიმილიონილარი) ლარი. საბიუჯეტო ასიგნებები გამოყოფილია და გამაგრებულია პროგრამა ფინანსური რესურსით, ანუ იდეაში, ასე უხეშად რომ ვთქვათ, თითო მუნიციპალიტეტისთვის 20 000 000(ოციმილიონილარი) ლარი არის გამოყოფილი. ეხლა ჩვენ რატომ გვაქვს ეს პროექტები? უმრავლესობას გიმუშავიათ ადრე, წინა მოწვევის საკრებულოებში, მუნიციპალურ სტრუქტურებში და იცით რომ, როცა თანხა მოდის ცენტრალური ხელისუფლებიდან თუ ჩვენ ვერ დავახვედრეთ პროექტი, ეს თანხა მარტივად გადადის სხვა მუნიციპალიტეტში, რომელიც დაახვედრებს პროექტებს. ჩვენთან ტურიზმზეა საუბარი და ტურისტულ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სწორედ ანაკლია-განმუხურის ზოლის განვითარებისკენ უნდა მივმართოთ ძირითადი ნაწილი ამ თანხის, ნაწილი კი - სკეიტ პარკის მიმართულებით, იცით რომ სავალალო მდგომარეობაში არის იქ ბულვარის გაგრძელება და ა. შ. აი ამ ორი ძირითადი მიმართულებით, პლუს კიდევ მესამეა, მაგრამ არ მინდა წინმსწრებად ვთქვა, აი ეს არის ის მოლოდინი, რაც გვაქვს ჩვენს მუნიციპალიტეტს ანაკლია-განმუხურის მიმართულებით და ეს პროექტები, რაც ეხლა გაკეთებულია, იმ თანხებთან შედარებით ბევრად მცირებიუჯეტიანი პროექტებია, რასაც ველოდებით იმ თანხის მასშტაბები გაცილებით დიდია, პროექტები მუნიციპალიტეტს უნდა ქონდეს. ანაკლია-განმუხურის ტურისტული რეკრეაციული ზონა მუნიციპალიტეტისთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ჩვენ ძირითადი ტურისტული ობიექტი, რა თქმა უნდა ისტორიულად და მემკვიდრეობის ნაწილში არის დადიანების სასახლე და ბოტანიკური ბაღი და მთლიანი კომპლექსი, მაგრამ ამის გარდა, წმინდა რეკრეაციული თვალსაზრისით ტურისტი შეიძლება ჩამოვიდეს ამ სანაპირო ზოლზე. აი ამ ერთიანი ქსელის მოწყობა სანაპირო ზოლზე იყო ჩვენი შეთავაზება აი ამ პროექტში. ეს გაცხადებულიც არის, ბიუჯეტშიც არის, უფრო კონკრეტულად ჩვენ ველოდებით რომ დაიწყება განხილვები და ა. შ.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „სავარაუდოდ როდისთვის იქნება?“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ განაცხადა: „წელს მოხდება პროცედურული ნაწილის დასრულება, ამ პროცედურულში ვგულისხმობ თუნდაც სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადებას. ეხლა რომ გითხრათ წელს მოხდება ამ სამუშაოების დაწყება, ეს არა რეალური იქნება. 2024 წლის სეზონზე იქნება ყველაფერი მოგვარებული.“

აზრი გამოთქვეს: მალხაზ თორიამ აღნიშნა: „მე ჩემს მოკრძალებულ მოსაზრებას გეტყვით. ჩემთვის, როგორც თითოეული თქვენთაგანისთვის, ვინც დღეს აქ ვართ, ჩვენი მუნიციპალიტეტი რა თქმა უნდა მშობლიურია, ძალიან გვიყვარს, როგორც ქალაქი, ასევე თითოეული სოფელი, მაგრამ განსაკუთრებულად ხაზგასასმელია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს აქვს ორად ორი ტერიტორია, შეგვიძლია ვთქვათ ლოკაცია, ეს არის ბოტანიკური ბაღი, ქალაქის ცენტრი, ბულვარი და მის ირგვლივ, რაც კი არის ტურისტული და ტურისტულ განვითარებასთან რაც არის დაკავშირებული და აუცილებლად - ანაკლია. უნდა განვითარდეს ეს ორი ლოკაცია. თუ ჭკადუაშსაც მიეხედება და კიდევ თუ ახალი აღმოჩენები გაკეთდება უკეთესი, პოტენციალი ბევრი აქვს ზუგდიდს, მაგრამ ასევე ძალიან დიდი რესურსი ჭირდება. აქ, ამ შემთხვევაში 5- 10 მილიონი ჩვენნაირი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მე ვხვდები ამას და მესმის, რომ ძალიან დიდი თანხებია საჭირო ანაკლია-განმუხური რესორტის განვითრებისთვის, აქედან გამომდინარე ანაკლია- განმუხური რესორტის შეფასება რთულია. მე ამაზე ნაფიქრი მაქვს თავის დროზეც, ახლაც, ვერ შეაფასებ. ჯერ ეს ერთი პრაქტიკა იყო დამკვიდრებული რომ საკუთარ შემოსავალზე ორიენტირებული არ იყო არასოდეს.

როგორც კი ჩამოყალიბდა ანაკლია-განმუხურის რესორტი, ეს იყო გამტარი ფუნქციის მატარებელი შპს, რათა მას ჰქონოდა სრული თავისუფლება ყველა მიმართულებით, (წესდებას თუ წაიკითხავთ), იმიტომ რომ კეთდებოდა უნიკალური პროექტი. კი ბატონო, ეს ეხლანდელი ხელისუფლების დროს არ დაწყებულა, მაშინ დაიწყო, ესეც იყო ძალიან დიდი დადებითი მოვლენა ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის, ეს ფაქტია, ამას ვერ გავექცევით, დარჩა ეს ფორმა ამ ანაკლია-განმუხური რესორტის შპს-ეს სახით, თავისი წესდებებით, განუსაზღვრელი უფლებამოსილებით, მაგრამ მაინც იყო ყოველთვის მერიის კონტროლის ქვეშ. ინიციატივა რა თქმა უნდა რთულია, მე არ ვამბობ არც ერთ მერზე, არც იმ წინა ხელისუფლების დროინდელზე, მე რომ ხელისუფლებაში ვიყავი არც მაშინდელ მერზე არ ვამბობ. ყველაზე დიდი მინუსი ამ შპს-ეს ის იყო, რომ რა ქონებაც ქონდა ამისი ფულად ქცევა არ ხდებოდა, შემოსავლების კუთხით იყო ნული. აი აგერ სურათს შევხედოთ (ეკრანზე გამოსახული ფოტო) უნიკალური დანადგარია, რომლის წარმოება იყო ფოთში და ეს იყო თავის დროზე-იმპერიის დროს, ძალიან დიდი, საკავშირო დაქვემდებარების მქონე ქარხანა, ასეთი დანადგარები იწარმოებოდა და ეს ერთერთი ბოლო დანადგარია, რომლის საჭიროება, ისეთ ტერიტორიაზე როგორიც არის კოლხეთის დაბლობი აუცილებელია. თავის დროზე რამოდენიმეჯერ მოინდომეს ამის გაყიდვა, დარწმუნებული ვარ თქვენთანაც გამოჩნდებიან ამის მოსურვეები და მოინდომებენ გაყიდვას, რადგან როგორ გამოიყენონ არ იციან. ეს არის უნიკალური დანადგარი, ასეთი ახალი დანადგარი რომ გაკეთდეს, ჯერ ერთი, ასეთს ვერ გააკეთებ, ასეთი სიმძლავრისას. ჩვენს ახლო მდებარე სახელმწიფოებიდან მხოლოდ და მხოლოდ უკრაინაში კეთდება. იგივე სიმძლავრის რომ გააკეთო ევროპიდან ჩამოიტან ან ამერიკიდან. ამას შეეძლო ფული შემოეტანა, იქაური საზოგადოება (ანაკლიელები) თავის დროზე რომ შეგვეჩვია გადასახადი გადახდილიყო მიწისთვის, ტერიტორიებისთვის და ა. შ. შეიძლება ამისთვის მკვეთრი ნაბიჯები გადაიდგას, ასეა თუ ისე, მეორე წელია დაწყებულია, თუ არ ვცდები და კარგია. ისე იდეა დიდი ხანია არსებობდა. რას შესძენს ეს შპს? იმიტომ რომ ის ელოდება სუბსიდიას, როდის ჩაურიცხავენ მილიონს, ორ მილიონს, ხუთ მილიონს. რაც ეს შპს გაიხსნა იმის მერე სულ ერთხელ იყო, 2019 წელს, 6 თუ 7 მილიონი დაიხარჯა, ამაში არ შედის ანაკლიის საბავშვო ბაღისა და არც შსს შენობის მშენებლობა, მაგრამ ის თანხაც არაფერს არ შველის მაინც. აქედან გამომდინარე, პირდაპირ ვიტყვი, რომ ბიჭები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ, აგერ ერთერთი ხელმძღვანელი ადგილზე იმყოფება - ბატონი ირაკლი ყალიჩავა, წარმატებებს გისურვებთ, უბრალოდ, რაც არ უნდა დაგეგმოთ, თუ სუბსიდირება არ იქნება არაფერი გამოვა. დარწმუნებული ვარ რომ სუბსიდირება იქნება, ხარისხსაც უნდა მიაქციოთ ყურადღება. მუნიციპალიტეტის მერია და სამხარეო ადმინისტრაცია რამდენად მეტს თანხას წამოიღებს, ასევე თუ ვინმე ლობისტი გყავთ ისიც უფრო მეტს წამოიღებს მით უკეთესი, ეს გაკეთებული საქმე დარჩება ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს. ანაკლია უნდა იყოს ჩამოყალიბებული კურორტი, აქედან გამომდინარე მე არაფერი საწინააღმდეგო 2022 წელს ჩატარებულ სამუშაოებთან არა მაქვს, და მომავალს რაც შეეხება თქვენ იცით. ეს ორი წელი გვაჩვენებს ყველაფერს, ბესოს და ნიკას წარმატებები მინდა ვუსურვო ახალ პოზიციებზე, ასევე თქვენ ყველას წარმატებებს გისურვებთ“.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ჩვენ შარშან დადებითად შევაფასეთ ანაკლია-განმუხური რესორტის საქმიანობა და მოლოდინი იყო, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდებოდა ოდნავ მაინც, მაგრამ არაფერი არ შეცვლილა აბსოლუტურად. ის პროექტები, რაც არის, კი ბატონო, მოსაწონია და საჭირო არის, მაგრამ ყველაფერ ამას სჭირდება განხორციელება, მუშაობა, მენეჯმენტი. მარტო არსებობდეს რესორტი და მერე არაფერი არ კეთდებოდეს ნამდვილად არის მიუღებელი. ამის გარდა შარშანაც დავაფიქსირე და კიდევ ვიტყვი, უფრო მეტი სამუშაოები არის თუნდაც სოციალური მედიის მხრივ, უფრო მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ არამარტო ჩვენს მოსახლეობას, არამედ ევროპას, ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, რათა პოპულარიზაცია გავუწიოთ კურორტს. ამ კუთხით, დავით, გისურვებ წარმატებებს, მაგრამ თქვენს სამსახურს შევაფასებ 2024 წელს. რაც შეეხება დღევანდელ ანგარიშს, მე ნამდვილად დადებითად ვერ შევაფასებ, ეს არ არის მარტო ჩემი პირადული, იმიტომ რომ არაფერი

არ გაკეთებულა აბსოლუტურად, გარდა პროექტებისა. გვაპატიეთ, მე იმედს ვიტოვებ, რა პრობლემები და გამოწვევებიც გაქვთ გამოსწორდება. წარმატებები ყველას!“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გაბუნიამ აღნიშნა: „ბატონო ირაკლი, ბატონო დავით თქვენ ეს ნაკლებად გეხებათ, თქვენ ახალი მენეჯერი ხართ და ეს არის წარსულზე საუბარი, მაგრამ, სამომავლოდ, ეს დოკუმენტაცია იყოს მოწესრიგებული. შარშან უარყოფითად დავაფიქსირე ჩემი პოზიცია, დღესაც ვაფიქსირებ უარყოფითად, მესმის, რომ ძალიან მწირი ბიუჯეტი გაქვთ, მაგრამ დოკუმენტაცია უნდა გქონდეთ წესრიგში. წარმატებებს გისურვებთ ორივეს!“

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი სორდიამ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ დამატებით რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიაზე დამსწრე 11 წევრიდან 9 წევრმა, რადგან კენჭისყრამდე სხდომა დატოვა კახაბერ ჩანგელიამ და ირაკლი გოგოხიამ.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 6-გიგა ფარულავა, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, ბეჟან შანავა.

წინააღმდეგი: 3 -დავით ფიფია, გიორგი სორდია, დარეჯან გაბედავა.

გადაწყვიტეს: საკითხი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS”-ის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში“ შეფასდა დადებითად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია